აღმართზე სავალი ძნელდება

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 7 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “ქაირათი” (ალმა–ათა) 1:0 (1:0).

“დინამო”: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

“ქაირათი”: ორდაბაევი, კრუგლიხინი, ტალგაევი, ნიკოტენკო (მაზმანიანი), გოსტენინი, ხისამუტდინოვი, ნეხტინი, ლიხოშერსტნიხი (კოჩუბინსკი), შადიევი, ლეკსინი, ევდოკიმოვი.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

გოლი გაიტანა ვ. დარასელიამ (მე–3 წუთი).

პირველ წუთებზევე სტუმართა კარში “გატანილმა ლელომ” ალბათ ბევრს აფიქრებინა, რომ მატჩი უხვგოლიანი იქნებოდა. რა დასამალია და ასეც უნდა მომხდარიყო – უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ თბილისელებს, ორჯერ თუ სამჯერ ძალზე ახლოს იყვნენ მიზანთან ალმაათელებიც.

თუმცა, მკითხველი, რომელმაც ეს თამაში ვერ ნახა, ნუ იფიქრებს, რომ მთელი ოთხმოცდაათი წუთი ორმხრივი იერიშებით და მდიდარი საფეხბურთო ეპიზოდებით იყო სავსე, ნურც იმას იფიქრებს, რომ სტუმრებმა ტოლი არ დაუდეს მასპინძლებს, თვიდანვე მიიღეს გამოწვევა და როგორც თანასწორებმა თანასწორებს გაუმართეს ბრძოლა.

ერთმა გარემოებამ მატჩი პირობითად ორ, ერთიმეორისაგან განსხვავებულ, საკმაოდ კონტრასტულ ნაწილად გაჰყო. ეს საზღვარი მეორე ტაიმის 30–ე წუთზე მოდის.

სანამ იყო საამისო დრო და თბილისელებსაც სადარდებელი არაფერი ჰქონდათ, “დინამო” ძალზე სახიფათოდ, მეთოდურად, ხანდახან აზარტულადაც კი უტევდა. მაგრამ შეტევა შეტევად დარჩა, მასპინძლებმა ვერ იქნა და ვეღარ გაიტანეს აგრერიგად საჭირო მეორე გოლი. ის კი მართლაც საჭირო იყო ყველაფრის საბოლოოდ გასარკვევად, ფეხბურთელთა დასამშვიდებლად და თუნდაც ენერგიის დასაზოგავადაც, თორემ დიდი და მცირე ანგარიშით გამარჯვებას საბოლოო ჯამში ერთი ფასი აქვს, რას იზამ, ხან თავგანწირვით თამაშობდა მეკარე ორდაბაევი, ხან – აშკარად სცოდავდნენ ჩვენი თავდამსხმელები.

სანამ დრო იყო–მეთქი, ვთქვი და წამზომის ისარიც გულგრილად მიადგა იმ წერტილს, რომელსაც უთუოდ უნდა შეეცვალა და შეცვალა კიდეც ორთაბრძოლის ხასიათი. ვიმეორებ, ეს ყველაფერი ერთმა გარემოებამ განაპირობა. ისე კი დინამოელებს არც დაღლა დასტყობიათ, არც გული გასცივებიათ, რაღა თქმა უნდა, არ ფეხბურთის თამაში დავიწყებიათ. სამწუხაროა, რომ ფსიქოლოგიური გარდატეხის ამგვარი მომენტები ხშირად შეუნიშნავი რჩება მაყურებელთა ნაწილს. არადა ადამიანი ადამიანად რჩება ყოველთვის, სულერთია საფეხბურთო მინდორზე იქნება ის, ტრიბუნაზე თუ სხვა საქმიანობისას

საქმე ის არის, რომ ვიქტორ პონედელნიკის მიერ ამასწინანდელ ინტერვიუში ნათქვამისა არ იყოს, ახლა თბილისელებს არა აქვთ უფლება თუნდაც ერთი ქულა დაკარგონ საკუთარ მინდორზე. ეს ქულა კი ნებისმიერ, თუნდაც აშკარად სუსტ გუნდთან შეიძლება გამოგვეცალოს ხელიდან, მით უფრო მაშინ, როცა მატჩის დასრულებამდე ცოტა დრო რჩება.

აი ამ ნიუანსმა წამოჰყო თავი, თავიანთი მდგომარეობა და ვალი შეახსენა თბილისელებს საფინალო სასტვენამდე დარჩენილმა თხუთმეტმა წუთმა. არა, "დინამოს", რომ იტყვიან, შიშისგან მუხლი არ მოჰკვეთია, მაგრამ სიფრთხილის გრძნობამ მაინც თავისი ქნა. სწორედ ეს იგრძნო "ქაირათმაც". ამან გაათამამა და შეაგულიანა, თორემ მანამდე 75 წუთის მანძილზე ვერც შეძლო და არც სურვილი გასჩენია რაიმე საინტერესო ეჩვენებინა თბილისელი მაყურებლისათვის.

ისევ მაყურებელზე. უთუოდ სათქმელია, რომ ძალზე ცუდი სამსახური გაუწია თავის გუნდს თბილისელმა "გულშემატკივარმა". ტრიბუნის აშკარად გამოხატული უკმაყოფილება რომ არა, ეჭვი არ არის, ფეხბურთელები საკმაოდ მშვიდობიანად, ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაათავებდნენ ამ მატჩს. ერთი რამის დავიწყება არ შეიძლება – იდეალური გუნდები არ არსებობენ და სათამაშო მექანიზმის დროებით მოშლა, თუნდაც უხეირო თამაში (რომელ საფეხბურთო კოლექტივს არ მოსდის ეს?), ასე არ უნდა აღიზიანებდეს მისსავე გასამხნევებლად მოსულ მაყურებელს, გავბედავ და იმასაც ვიტყვი, რომ ბოლო წუთებში თბილისელთა კარში კოსტავას თავგანწირვის წყალობით გაუტანელი გოლი, ვთქვათ და გასულიყო კიდეც, ჩვენს, სტადიონზე მოსულ ქომაგთა სინდისზე იქნებოდა და კიდევ ერთი: თბილისელთა მიერ აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი კიდევ ერთი ბურთი სავსებით სამართლიანად არ ჩათვალა შეხვედრის არბიტრმა. აქაც მაყურებელთა ერთ ნაწილის საპასუხო რეაქციას არაობიექტურობისა და შეიძლება ითქვას, თამაშის ელემენტარურ წესებში გაურკვევლობის ელფერი დაჰკრავდა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მაინც არ ამართლებს ლიდერის საპასუხისმგებლო, მძიმე ტვირთით მავალ კოლექტივს, მაგრამ თუ გუნდის საბოლოო წარმატება თითოეული ჩვენგანისა და ყველას საკუთრებად იქცევა ხოლმე, ამ ძნელ სავალთან დაკავშირებული ყველა "უხერხულობანი" ჩვენც, გულშემატკივრებმაც უნდა გავინაწილოთ.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 9 აგვისტო, 1978 წ.